სააპელაციო საბჭო

07/05/2025

MES 4 25 0000499703

გადაწყვეტილება

„ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 05 დეკემბრის №1566706 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სააპელაციო საჩივრის, საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 5 დეკემბრის №1566706 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 101-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 05 დეკემბრის №1566706 გადაწყვეტილება "ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის შესახებ".
2. სააპელაციო საბჭოს 2025 წლის 7 მაისის № 499734 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით და ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

ხელმოწერილია
შტამპდასმულია
ელექტრონულად